ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 34
13/04/2018

34-04-4-201804131543

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობებიანი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს ლევან გორგილაძეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - დაბა ქედა, ტ. აბუსერიძის ქ. №10-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 21.03.34.040.01.500) მეორე სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართის - 129.10 კვ.მ. პირობებიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, ვადით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემაზე, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) ქონება სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გაიცეს 5 (ხუთი) წლის ვადით;

ბ) ქონებით სარგებლობის საწყის წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნის შესაბამისად შეფასებული ქონების ღირებულების 10%-ის ოდენობა;

გ) მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში გამოიყენოს ფართი არაკომერციული დანიშნულებით, მოსახლეობის საგანმანათლებლო და სამოქალაქო ინიციატივების მხარდასაჭერი პროგრამების განხორციელების მიზნით, შეუზღუდავი საჯაროობის გათვალისწინებით;

დ) მოიჯარე ვალდებულია დაასაქმოს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მკვიდრი არანკალებ 10 მოქალაქე;

ე) მოიჯარე ვალდებულია გაუფრთხილდეს შენობას, არ მოახდინოს შენობის შიგა ფართისა და გარე ფასადის იერსახის ცვლილება ან გადაკეთება მუნიციპალიტეტთან შეთანხმების გარეშე. დაიცვას ქონება ხელოვნური დაზიანებებისაგან. ქონებაზე მიყენებული მატერიალური ზიანი, რომელიც გამოწვეული იქნება მოიჯარის დაუდევრობით, ვალდებულია აუნაზღაუროს ზიანი მუნიციპალიტეტს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა -მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე